დანართი 1.

ქვემოთ მოცემულია ის საკითხები, რომლებიც ჩაის კოოპერატივებმა დაასახელეს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის პრობლემურ საკითხებად. აღნიშნული საკითხები უნდა გადაიხედოს, რთა კოოპერატივებს საშუალება მიეცეთ, ჩაერთონ და ისარგებლონ მოცემული პროგრამით.

მიწა

(საკუთარი თუ სახელმწიფოსგან იჯარით აღებული)

- იმისათვის, რომ ბენეფიციარმა პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა, <u>მიწა უნდა ჰქონდეს დარეგისტრირებული (თავისი საკადასტრო რუკით),</u> რაც ამ ეტაპზე პრობლემური საკითხია მეწარმე სუბიექტისათვის, რადგან მიწის რეგისტრაციის, ბალანსზე აყვანის, ნოტარიულად დამოწმების, სარეაბილიტაციო ნაკვეთის საერთო საკადასტრო კოდიდან გამოყოფის და ა.შ. ხარჯები ხელს უშლის ფერმერებს პროგრამაში მონაწილეობის მიღებაში. ამასთანავე, არსებობს მოლოდინი, რომ სახელმწიფო სამომავლოდ მიწის რეგისტრაციას თავის თავზე აიღებს (მიწის რეგისტრაცია იქნება უფასო ან დღევანდელზე ბევრად იაფი). ეს მოტივაციას უკარგავს მეწარმე სუბიექტებს, თავად იზრუნონ ამ საკითხზე. „სადაც ამდენი ხანი ველოდე, კიდევ დაველოდები," – ფიქრობენ ისინი;

- ხშირია შემთხვევები, როდესაც მიწის ფართობები რეგისტრაციის ფართობებს არ ემთხვევა და <u>საჭიროა ხელახალი რეგისტრაცია,</u> რაც დამატებით ფინანსებს მოითხოვს;

- მეწარმე სუბიექტებისათვის პრობლემას წარმოადგენს <u>საგარანტიო თანხის</u> აუცილებლობა და <u>მიწის ნაკვეთების იპოთეკით დატვირთვა</u> (როგორც სასოფლო ისე არასასოფლო მიწების);

- პროგრამაში ჩასართავად ბენეფიციარის ხელთ არსებული (საკუთრებაში ან იჯარით აღებული) პლანტაციის ფართობი უნდა იყოს 5-დან 300 ჰექტრამდე (გარდა კოოპერატივისა) და <u>5-დან 50 ჰექტრამდე კოოპერატივის შემთხვევაში.</u> ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ იჯარით მისაღები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის ფართობი <u>არ უნდა აღემატებოდეს</u> სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის ფართობს. ერთის მხრივ, კოოპერატივებს არაწევრებისგან ჩაის ფოთლის ყიდვა შეზღუდული აქვთ (მაქს. 30%), მეორეს მხრივ, არც მეტი პლანტაციის აღების საშუალებას ვაძლევთ... მაშინ, როდესაც გვაქვს სიტუაცია, როცა ზოგიერთ კოოპერატივს გადამამუშავებელი ხაზები უკვე აქვს და ფოთლის არქონის გამო არასრული დატვირთვით მუშაობს...
  ეს შეზღუდვები ამტკიცებს, რომ კოოპერატივებისადმი მიდგომა ბევრად მკაცრია, რაც მათ არაკონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს შპს-ებთან შედარებით;

- კოოპერატივის წევრების არანაკლებ 75%-მა, და თითოეულმა არანაკლებ 0,25 ჰა პლანტაციისა უნდა შეიტანოს კოოპერატივში.
  2014 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვეყანაში დარჩენილია მხოლოდ 6626 მეურნეობა (შინამეურნეობა და ბიზნესი), რომელსაც ეკუთვნის ჩაის პლანტაცია. აქედან 92%-ს ეკუთვნის 0,5 ჰექტარზე ნაკლები ჩაის პლანტაცია, ხოლო მათგან საკმაოდ ბევრს (ჩვენი შეფასებით, 30-35% მაინც) ეკუთვნის 0,25 ჰექტარზე ნაკლები ჩაის პლანტაცია. ამ უკანასკნელი კატეგორიის სუბიექტებიდან ბევრმა შეიძლება ვერ შეძლოს პროგრამით სარგებლობა;

- თუ იჯარის ხელშეკრულების გაფორმება არ მოხდა 3 თვის ვადაში, ბენეფიციარის საგარანტიო თანხა ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე, თუმცა არ არის განსაზღვრული, რა ხდება სახელმწიფოს მხრიდან დაგვიანების შემთხვევაში.

- ზოგ შემთხვევაში, ძველი (დაბერებული) პლანტაციების რეაბილიტაციას შეიძლება სჯობდეს ახალი პლანტაციების დარგვა (რასაც პროგრამა არ ითვალისწინებს).

სარეაბილიტაციო სამუშაოები

- მეწარმე სუბიექტები ამბობენ, რომ შეუძლიათ (და ურჩევნიათ) თავად ჩაატარონ სარეაბილიტაციო სამუშაოები საკუთარი მუშახელის გამოყენებით. ამიტომ ფიქრობენ, რომ სხვა მესამე პირის (რეაბილიტაციის განმახორციელებელი კომპანიის) ჩართვა ამ პროცესებში ართულებს ვითარებას და ზრდის ხარჯებს. თვითონ ჩაის მწარმოებელი კომპანიების თქმით, თავად შეუძლიათ ბევრად ეფექტურად შეასრულონ იგივე სამუშაოები;
  ამასთანავე, შპს-ისგან განსხვავებით, კოოპერატივები არ არიან გადასახადის გადამხდელები, ამიტომ ფერმერები წუხან, რომ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახადებში დაიხარჯება, მაშინ, როცა ეს ხარჯი არ იარსებებს, თუ ისინი თავად ჩაატარებენ ამ სამუშაოებს;

- არ არის განსაზღვრული, კონკრეტულად რა სამუშაოები ჩატარდება პროგრამის ფარგლებში;

- პროგრამა არ ითვალისწინებს შემოღობვას, რაც საკმაოდ ძვირი ღირს და მეწარმე სუბიექტებს არ აქვთ შესაბამისი სახსრები; არადა შემოღობვის გარეშე, რთულია პლანტაციების პირუტყვისაგან დაცვა;

- ერთი ჰექტარი ჩაის რეაბილიტაციის სამუშაოები უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მაქსიმუმ 2500 ლარი (დღგ-ს ჩათვლით). ხოლო ჩაის ფოთოლი მოიკრიფება 3-4 წლის შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ ამ პერიოდში მეწარმე სუბიექტებს შემოსავალი არ ექნებათ ამ პლანტაციებიდან, ეს კი გამოიწვევს ფინანსების

ნაკლებობას, რის გამოც შეიძლება მეწარმე სუბიექტს გაუჭირდეს აღებული ვალდებულებების შესრულება;

- ზოგ შემთხვევაში, პლანტაციები უკვე იმდენად დაბერებულია, რომ აღდგენის შემდეგ, მეწარმე სუბიექტებმა შეიძლება ვერ მიიღონ დაგეგმილი მოსავლიანობა, რის გამოც მათ შეიძლება ვერ შეასრულონ საწარმოო გეგმა და, შესაბამისად, შეექმნათ პრობლემები აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით;

- მიმდინარე წელს, დიდი ალბათობით, უკვე დაგვიანებულია ჩაის რეაბილიტაციის განხორციელება;

ჩაის გადამამუშავებელი ქარხნების შექმნის ვალდებულება

- ქარხნების გაკეთების ვალდებულება მიბმული არის ამ პროგრამასთან, თუმცა დღეს პირველი პრობლემა ჩაიში არის ნედლეულის სიმცირე (მითუმეტეს ხარისხიანის). ანუ ამჟამად მოქმედი საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა მინიმალური დატვირთვით მუშაობს, რადგან ჩაის ფოთოლი მცირე რაოდენობით იკრიფება.
  ასევე, გაურკვეველია, რითი დაეხმარება (ან დაეხმარება თუ არა საერთოდ) სახელმწიფო მეწარმე სუბიექტებს პირველი ინვესტიციიდან სრულ მსხმოიარობამდე (როცა ქარხნისთვის დანადგარებს გადასცემენ მეწარმე სუბიექტებს);

- სახელმწიფო მხოლოდ პროექტის 3 წლის განმავლობაში წარმატებით განხორციელებისა და ჩაის ფოთლის გადამუშავების ჰასპის (HACCP) სტანდარტების დაცვით საწარმოს აშენების შემდეგ გადასცემს კოოპერატივს მანქანა-დანადგარებს. წარმატებული ბიზნესის აწყობა 3 წელიწადში ძალიან რთულია კოოპერატივებისთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ მოუწევთ მაღალი სტანდარტების შესაბამისი ქარხნის აშენება, ნედლეულის სიმცირისა და გასაღების ახალი ბაზრების პოვნის სირთულის ფონზე.

ზოგადი

- არ არსებობს შეფასების ინდიკატორები, თუ რის მიღწევას ცდილობს პროგრამა, რაც ართულებს პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებას.